№10 / 2009წ /

ყოველთვიური ჩანართი

# აჭარის მუნიცი პალიტეტების 2009 წლის ბიუჯეტების ანალიზი

***ცნობილია, რომ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ 2005 წლიდან ახორციელებდა აჭარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების მონიტორინგს. 2007 წლის ბოლოდან კი ორგანიზაციამ დაიწყო ახალი პროექტის „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ განხორციელება, რომელიც დღესაც მიმდინარეობს და რომლის მთავარი მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მოსახლეობის როლის გაზრდა, მათი ჩართულობის დონის ამაღლება საბიუჯეტო პროცესებში. 2005 წლიდან მკითხველი ჩვენი ჩანართის საშუალებით არაერთხელ გაეცნო აჭარის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტების ანალიზს, როგორც ეკონომიკური ისე სამართლებრივი კითხით. იმის გამო, რომ ყველა მუნიციპალიტეტიდან „ინტელექტმა“ ვერ მიიღო წინა წლის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულების მონაცემები, დღეისათვის მკითხველს ვთავაზობთ აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი) 2008 და 2009 წლების ბიუჯეტების გეგმების შედარებით ანალიზს, სადაც მკითხველი იხილავს ბიუჯეტის დაგეგმვის დროს რამდენად იქნა მოსახლეობის ინტერესები გათვალისწინებული.***

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი უნდა ემყარებოდეს გარკვეულ მიზანმიმართულ დაგეგმვას და მონოდებული უნდა იყოს ადგილობრივ თვითმმართველობის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის პრობლემების მოსაგვარებლად. მოქალაქეები ბიუჯეტის სასარგებლოდ იხდიან გადასახადებს, მოსაკრებლებს, და შესაბამისად ბიუჯეტში შესული თანხები უნდა ნანილდებოდეს ეკონომიკური და სოციალური მიმართულებით მოსახლეობის ინტერესების და მოთხოვნების გათვალისწინებით.

იმისათვის, რომ ბიუჯეტში არსებული თანხების ხარჯვა მიზანმიმართული იყოს, თვითმმართველ ერთეულს უნდა გააჩნდეს სტრატეგია და განსაზღვრული პრიორიტეტები. როგორც წესი, ბიუჯეტი დამყარებული უნდა იყოს თვითმმართველი ერთეულის მიერ გარკვეული ნლებისათვის შედგენილ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმაზე. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმაში ასახული უნდა იყოს ის სტრატეგია და იმ ამოცანათა გადაჭრის გზები, რომლის სამომავლოდ განხორციელებასაც აპირებს თვითმმართველი ერთეული. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა განსაზღვრავს თვითმმართველი ერთეულის სამომავლო პოლიტიკას, რის საშუალებითაც უნდა განხორციელდეს ყოველნლიური ეკონომიკური გათვლები, განისაზღვროს პრიორიტეტები და ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით შეიქმნას მიზნობრივი პროგრამები. თავის მხრივ სოციალურ-ეკონომიკურ გეგმაზე და მიზნობრივ პროგრამებზე დაყრდნობით შემუშავებული ბიუჯეტი გათვლილი იქნება შედეგზე და არა ხარჯვაზე.

თუ დავაკვირდებით 2009 ნლის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს და გავშლით შემოსავლების კლასიფიკაციის მიხედვით დავინახავთ, რომ ბიუჯეტები თითქმის მთლიანად დამოკიდებულია სახელმნიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან მიღებულ ფინანსურ დახმარებაზე (გამოთანაბრებით და სპეციალურ ტრანსფერზე). ფინანსური დამოკიდებულება ხელს უშლის ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებას, რადგან მათ არ აქვთ საშუალება წინასწარ, დამოუკიდებლად განსაზღვრონ პრიორიტეტები პროგნოზებიდან გამომდინარე. თუმცა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით “ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს საკუთარი შემოსულობების ხარჯვა შეუძლიათ განსახორციელონ დამოუკიდებლად და საკუთარი შეხედულებისამებრ”, მაშასადამე გამოთანაბრებითი ტრანსფერის გამოყენების მიმართულებები მთლიანად ადგილობრივი ხელისუფლების მიერ უნდა იქნეს განსაზღვრული, რაც ხშირ შემთხვევაში პრაქტიკულად არ ხორციელდება, რადგან ფინანსურ დახმარებას მოყვება ღონისძიებათა ნუსხა, რომელთა განხორციელებისათვისაც უნდა დაიხარჯოს ის.

### ქედის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ანალიზი

ქედის 2008-2009 ნლის ბიუჯეტების შედარებისას ჩანს, რომ ბიუჯეტი მნიშვნელოვნად (467 700 ლარით) არის შემცირებული და შეადგენს 3 231 000 ლარს. ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებში ფინანსური დახმარების ნილი შეადგენს 95 %-ს, ხოლო გადასახადებიდან შემოსავალი კი 5 %-ს (იხ. დიაგრამა №1).

**დიაგრამა №1**




ქედის გამგეობის მიერ მონოდებული 2009 ნლის ბიუჯეტის გეგმის მიხედვით ქედის მუნიციპალიტეტის გადასახდელებმა 2 747 600 ლარი შეადგინა, (2008 ნელს 3 777 400 ლარს შეადგენდა). აქედან საერთო დანიშნულების სახელმნიფო მომსახურებაზე გასაწევმა ხარჯებმა 1 222 790 ლარი შეადგინა, რაშიც ძირითადად იგულისხმება ხარჯები აღმასრულებელი და ნარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფისათვის, ხოლო ეს ხარჯი 2008 ნელს 916 020 ლარს შეადგენდა. საერთო დანიშნულების სახელმნიფო მომსახურებაზე გასაწევი ხარჯები მთლიანი ხარჯების 44,5 %-ია (2008 ნელს 24 %-ს). უნდა აღინიშნს, რომ 2009 ნელის ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების ხარჯების გეგმა 218 100 ლარით, ანუ 32,72 %-ით მეტია წინა ნლის ხარჯებთან შედარებით და შეადგენს 884 670 ლარს.

სხვა ხარჯები ბიუჯეტში გადასანილებულია შემდეგნაირად:

თავდაცვა - 72 210 ლარი (2008 ნელს 52 770 ლარი);

**დიაგრამა №2**




თუ დავაკვირდებით თვითმმართველი ორგანოების 2009 ნელში გასაწევ ხარჯებს, ვნახავთ თუ რამდენად გაიზრდა ისინი გასულ ნელთან შედარებით: ყქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯი შეადგენს 243 700 ლარს (2008 ნელს 228 420 ლარს), მათ შორის 15 მომუშავისათვის შრომის ანაზღაურება შეადგენს 180 080 ლარს, ანუ წინა ნლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 33 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მუნიციპალიტეტის გამგეობის - 850 880 ლარს (2008 ნელს 726 500 ლარს), რაშიც იგულისხმება გამგეობის თანამშრომლების და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლების ხარჯები, მათ შორის 110 მომუშავისათვის შრომის ანაზღაურება შეადგენს 566 460 ლარს, ანუ წინა ნლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით თითქმის 39 პროცენტითაა გაზრდილი.

ტერიტორიული ორგანოებისათვის გამოყოფილია 321 390 ლარი. ქედის მუნიციპალიტეტში 9 ტერიტორიული ერთეულია, რომლებისთვისაც ყოველთვიურად საშუალოდ, გამოყოფილია შემდეგი ხარჯები:

შრომის ანაზღაურება — 2518 ლარი;

მივლინებები — 18,5 ლარი;

ოფისის ხარჯები — 329,5 ლარი;

ტრანსპორტისა და ტექნიკის აქსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები – 100 ლარი;

სხვა ხარჯები — 9 ლარი.

ტერიტორიული ერთეულებისათვის გამოყოფილი შრომის ანაზღაურება ნანილდება 69 მოსამსახურეზე, ანუ თითოეულ თემში საშუალოდ 7 თანამშრომელი მუშაობს, რაც საშუალოდ თითოეულ თანამშრომელზე თვეში შეადგენს 328,5 ლარს. რათქმა უნდა ეს მაჩვენებლები განსხვავდება თემების მიხედვით, მათი სიდიდის და იქ მომუშავე მოსამსახურეთა რაოდენობის გათვალისწინებით.

თვალსაჩინოებისთვის დიაგრამის სახით წარმოგიდგენთ, ქედის მუნიციპალიტეტის 2008-2009 ნლების ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებების შედარებას ხარჯვავი დაწესებულებებისა და ღონისძიებების მიხედვით.

**დიაგრამა №3**




### ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ანალიზი

ქობულეთის 2008-2009 ნლის ბიუჯეტების შედარებისას ჩანს, რომ ბიუჯეტი მნიშვნელოვნად (1 339 500 ლარით) არის შემცირებული და შეადგენს 8 395 700 ლარს. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებში ფინანსური დახმარების ნილი შეადგენს 72 %-ს, ხოლო გადასახადებიდან შემოსავალი კი 28 %-ს (იხ. დიაგრამა №1).

**დიაგრამა №1**




ქობულეთის გამგეობის მიერ მონოდებული 2009 ნლის ბიუჯეტის გეგმის მიხედვით ქობულეთის მუნიციპალიტეტის გადასახდელებმა 8 395 700 ლარი შეადგინა, რაც წინა ნლის ბიუჯეტის გეგმის თითქმის 71 პროცენტს შეადგენს (2008 ნელს 9 735 200 ლარს შეადგენდა). საერთო დანიშნულების სახელმნიფო მომსახურებაზე გასაწევმა ხარჯებმა 1 272 440 ლარი შეადგინა, რაშიც ძირითადად იგულისხმება ხარჯები აღმასრულებელი და ნარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფისათვის, ხოლო ეს ხარჯი 2008 ნელს 1 230 965 ლარს შეადგენდა. საერთო დანიშნულების სახელმნიფო მომსახურებაზე გასაწევი ხარჯების გეგმა მთლიანი ბიუჯეტის 15,2 პროცენტს შეადგენს (2008 ნელს 12,6 პროცენტს შეადგენდა).

სამოქალაქო თავდაცვის ხარჯები 92 870 ლარს შეადგენს (2008 ნელს 86 898 ლარს), საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებისათვის გასაწევი ხარჯი 299 500 ლარს რაშიც იგულისხმება პოლიციის სამსახური და სახელმნიფო დაცვა — 50 000 ლარი (2008 ნელს 50 000 ლარი), ასევე სახანძრო სამსახური — 249 500 ლარი (2008 ნელი 212 851 ლარი). ეკონომიკური საქმიანობის უზრუნველსყოფად 165 490 ლარია გამოყოფილი (2008 ნელს 1 567 903 ლარი), გარემოს დაცვისათვის 1 069 040 ლარი (2008 ნელს 822 183 ლარი).

საბინაო კომუნალური მეურნეობისთვის გამოყოფილია 2 889 560 ლარი (2008 ნელს 3 796 351 ლარი), ხოლო ჯამრთელობის დაცვისათვის 138 250 ლარი (2008 ნელს 174 400 ლარი). მნიშვნელოვნად შემცირდა ხარჯების გეგმა დასვენება, კულტურასა და რელიგიაზე, რაც შეადგენს 860 570 ლარს შეადგენს (2008 ნელს 936 649 ლარი), განათლებაზე 1 417 830 ლარს (2008 ნელს 511 782 ლარი), ხოლო სოციალური დაცვისათვის კი გამოიყოფილია 190 150 ლარი (2008 ნელს 345218 ლარი).

თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2008-2009 ნლების ბიუჯეტების გადასახდელების შედარებას დიაგრამის სახით: (იხ. დიაგრამა №2)

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯი შეადგენს 382 280 ლარს (2008 ნელს 301 624 ლარს), მათ შორის 18 მომუშავისათვის შრომის ანაზღაურება შეადგენს 164 870 ლარს, ანუ 24 660 ლარით გაიზარდა წინა ნლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯი — 1 046 070 ლარს შეადგენს (2008 ნელს 1 071 837 ლარს), რაშიც იგულისხმება გამგეობის თანამშრომლების და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლების ხარჯები, მათ შორის 124 მომუშავისათვის შრომის ანაზღაურება შეადგენს 722 670 ლარს, ანუ 181 242 ლარითაა გაზრდილი წინა ნლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით.

ტერიტორიული ორგანოებისათვის გამოყოფილია 397 580 ლარი. ქობულეთის მუნიციპალიტეტში 20 ტერიტორიული ერთეულია, რომლებისთვისაც ყოველთვიურად გამოყოფილია საშუალოდ შემდეგი ხარჯები:

შრომის ანაზღაურება — 1 364 ლარი;

ოფისის ხარჯები — 168 ლარი;

ტრანსპორტისა და ტექნიკის აქსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები — 124 ლარი.

ტერიტორიული ერთეულებისათვის გამოყოფილი შრომის ანაზღაურება ნანილდება 71 მოსამსახურეზე, ანუ თითოეულ თემში საშუალოდ 8 თანამშრომელი მუშაობს, რაც საშუალოდ შეადგენს 384 ლარს თი-

თოიუულ თანამშრომელზე თვეში. რა თქმა უნდა ეს მაჩვენებლები განსხვავდება თემების მიხედვით მათი სიდიდის და იქ მომუშავე მოსამსახურეთა რაოდენობის გათვალისწინებით.

თვალსაჩინოებისთვის დიაგრამის სახით წარმოგიდგენთ ყობულეთის მუნიციპალიტეტის 2008-2009 წლების ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებების შედარებას მხარჯავი დაწესებულებებისა და ღონისძიებების მიხედვით.

**დიაგრამა №2**




**დიაგრამა №3**




**შუახევის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ანალიზი**

შუახევის 2008-2009 წლის ბიუჯეტების შედარებისას ჩანს, რომ ბიუჯეტი მნიშვნელოვნად (1 109 518 ლარით) არის შემცირებული და შეადგენს 2 721 200 ლარს. შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებში ფინანსური დახმარების წილი შეადგენს 94 %-ს, ხოლო გადასახადებიდან შემოსავალი კი 6 %-ს (იხ. დიაგრამა №1).

**დიაგრამა №1**




შუახევის გამგეობის მიერ მონოდებული 2009 წლის ბიუჯეტის გეგმის მიხედვით შუახევის მუნიციპალიტეტის გადასახდელებმა 2 721 200 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ბიუჯეტის გეგმის თითქმის 71 პროცენტს შეადგენს (2008 წელს 3 830 718 ლარს შეადგენდა). საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე გასაწევმა ხარჯებმა 1 297 730 ლარი შეადგინა, რაშიც ძირითადად იგულისხმება ხარჯები აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფისათვის, ხოლო ეს ხარჯი 2008 წელს 925 863 ლარს შეადგენდა. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე გასაწევი ხარჯების გეგმა მთლიანი ბიუჯეტის 47,7 პროცენტს შეადგენს (2008 წელს 24,2 პროცენტს შეადგენდა). უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების ხარჯების გეგმა 278 827 ლარით, ანუ 44,06 %-ით მეტია წინა წლის ხარჯებთან შედარებით და შეადგენს 911 660 ლარს.

სხვა ხარჯები ბიუჯეტში გადანაწილებულია შემდეგნაირად:

10. თავდაცვა - 77 270 ლარი (2008 წელს 43 930 ლარი);
11. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 107 940 ლარი, რაშიც იგულისხმება პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა - 10 000 ლარი (2008 წელს 10 000 ლარი), ასევე სახანძრო სამსახური - 97 940 ლარი (2008 წელი 86 660 ლარი);
12. ეკონომიკური საქმიანობის უზრუნველყოფა - 64 420 ლარი (2008 წელს 199 040 ლარი);
13. გარემოს დაცვა - 135 000 ლარი (2008 ნელს 48 500 ლარი);
14. საბინაო კომუნალური მეურნეობა - 254 340 ლარი (2008 წელს 816 622 ლარი);
15. ჯანმრთელობის დაცვა - 69 190 ლარი (2008 წელს 97 323 ლარი);
16. დასვენება, კულტურა და რელიგია - 376 490 ლარი (2008 წელს 1 276 688 ლარი);
17. განათლება - 252 520 ლარი (2008 წელს 224 792 ლარი);
18. სოციალური დაცვა - 86 300 ლარი (2008 წელს 101 300 ლარი).

თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ შუახევის მუნიციპალიტეტის 2008-2009 წლების ბიუჯეტების გადასახდელების შედარებას დიაგრამის სახით:

**დიაგრამა №2**




შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯი შეადგენს 280 570 ლარს (2008 წელს 221 790 ლარს), მათ შორის 16 მომუშავისათვის შრომის ანაზღაურება შეადგენს 184 970 ლარს, ანუ 63 580 ლარით გაიზარდა წინა წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯი — 903 680 ლარს შეადგენს (2008 ნელს 744 313 ლარს), რაშიც იგულისხმება გამგეობის თანამშრომლების და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლების ხარჯები, მათ შორის 115 მომუშავისათვის შრომის ანაზღაურება შეადგენს 587 700 ლარს, ანუ 193 307 ლარითაა გაზრდილი წინა წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით.

ტერიტორიული ორგანოებისათვის გამოყოფილია 350 220 ლარი. შუახევის მუნიციპალიტეტში 9 ტერიტორიული ერთეულია, რომლებისთვისაც ყოველთვიურად გამოყოფილია საშუალოდ შემდეგი ხარჯები:

შრომის ანაზღაურება — 2 725 ლარი;
მივლინებები — 14 ლარი;
ოფისის ხარჯები — 404 ლარი;
ტრანსპორტისა და ტექნიკის აქსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები — 100 ლარი.

ტერიტორიული ერთეულებისათვის გამოყოფილი შრომის ანაზღაურება ნაწილდება 75 მოსამსახურეზე, ანუ თითოეულ თემში საშუალოდ 8 თანამშრომელი მუშაობს, რაც საშუალოდ შეადგენს 327 ლარს თითოეულ თანამშრომელზე თვეში. რა თქმა უნდა ეს მაჩვენებლები განსხვავდება თემების მიხედვით მათი სიდიდის და იქ მომუშავე მოსამსახურეთა რაოდენობის გათვალისწინებით.

თვალსაჩინოებისთვის დიაგრამის სახით წარმოგიდგენთ შუახევის მუნიციპალიტეტის 2008-2009 წლების ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებების შედარებას მხარჯავი დაწესებულებებისა და ღონისძიებების მიხედვით.

**დიაგრამა №3**




**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ანალიზი**

ხელვაჩაურის 2008-2009 წლის ბიუჯეტების შედარებისას ჩანს, რომ ბიუჯეტი მნიშვნელოვნად (5 342 536 ლარით) არის შემცირებული და შეადგენს 5 576 880 ლარს. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებში ფინანსური დახმარების წილი შეადგენს 76 %-ს, ხოლო გადასახადებიდან შემოსავალი კი 24 %-ს (იხ. დიაგრამა №1).

ხელვაჩაურის გამგეობის მიერ მონოდებული 2009 წლის ბიუჯეტის გეგმის მიხედვით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გადასახდელებმა 5 576 880 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ბიუჯეტის გეგმის თითქმის ნახევარს შეადგენს (2008 წელს 10 919 416 ლარს შეადგენდა). საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე გასაწევმა ხარჯებმა 1 576 230 ლარი შეადგინა, რაშიც ძირითადად იგულისხმება ხარჯები აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფისათვის, ხოლო ეს ხარჯი 2008 წელს 1 333 944 ლარს შეადგენდა. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე გასაწევი ხარჯების გეგმა მთლიანი ბიუჯეტის 28,3 %-ს შეადგენს (2008 წელს 12,7 %-ს). უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წელის ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების ხარჯების გეგმა 338 198 ლარით, ანუ 39,78 %-ით მეტია წინა წლის ხარჯებთან შედარებით და შეადგენს 1 188 420 ლარს.

გაგრძელება ჩანართის შემდეგ ნომერში

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ინტელექტი
ანალიზური მედიცენტრის კავშირი

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი „თემთა ინიციატივა“
მისამართი: ბათუმი, რუსთაველის გამზ. №25
ტელ.: 77415, ფაქსი: 77126
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებგვერდი: www.intellect.org.ge